თათია ცეცხლაძე

დოქტორანტი

პოსტმოდერნისტული დისკურსი აკა მორჩილაძის ,,მადათოვის ციკლის“ მოთხრობების მიხედვით

აბსტრაქტი

პოსტმოდერნიზმის, როგორც უახლესი ლიტერატურული მიმდინარეობის, წარმოშობას უკავშირებენ სულიერ კრიზისს, რის შედეგადაც ინდივიდუალური სტილი იჩრდილება და წინა პლანზე გამოდის შეხედულებათა პლურალიზმი. განსხვავებულ მოსაზრებათა თანაარსებობა და თანამედროვე დემოკრატიული აზროვნების გადმოცემა მოითხოვს სტილებისა და ჟანრების განურჩევლობას; იქმნება „ორმაგი კოდირების“ თხზულებები, რომლებშიც შერწყმულია ნოვატორული და ტრადიციული. ისინი განკუთვნილია როგორც მასობრივი, ისე ელიტარული მკითხველისთვის.

განსაკუთრებით საინტერესოა ქართული პოსტმოდერნიზმის შესწავლა. პოსტმოდერნისტული ესთეტიკა ქართულმა კულტურამ გვიან შეითვისა, მაგრამ მას კარგი ნიადაგი დახვდა, რადგან XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში კრიზისმა კულმინაციას მიაღწია. არსებობს თვალსაზრისი, რომ პოსტსაბჭოთა კავშირის ქვეყნების ლიტერატურათაგან ყველაზე ადრე ქართულ მწერლობაში, XX საუკუნის 60-იანელთა შემოქმედებაში დაფიქსირდა. უმრავლესობის აზრით კი, პოსტმოდერნისტული ტენდენციები იკვეთება 90-იანი წლების ლიტერატურაში. ამ მხრივ მეტად საინტერესოა აკა მორჩილაძის შემოქმედება. მანამდე ქართული ლიტერატურული კრიტიკა სიახლისადმი ტრადიციულ სიფრთხილეს იჩენდა. „ორმაგი კოდირების“ საუკეთესო მაგალითია თავად მწერალი, რომელიც ერთდროულად არის ავტორიც და ისტორიკოსიც, ლექტორიც და სპორტის მიმომხილველ-ჟურნალისტიც. მეორე მხრივ, მწერალი თავისივე „ბრჭყვიალა“ მხატვრული სამყაროს თანამონაწილე, თანაავტორი და მკითხველიცაა. მისივე ირონია და საკუთარი ინტერპრეტაციები მკითხველის თვისება უფროა, ვიდრე - მწერლისა. პოსტმოდერნისტულია XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის მხატვრული პროზის სტილის გვერდით სკაბრეზული ლექსიკისა და სოციოლექტის გამოყენებაც. რომანი „გადაფრენა

მადათოვზე და უკან“ თავები განსხვავებული სოციოლექტითაა დაწერილი. შესაბამისად, დისკურსი მრავალფეროვანია. აქ ერთდროულად არის გასული საუკუნეების სტილიც, მანერაც და სალაპარაკო ენაც.

აკა მორჩილაძის, როგორც პოსტმოდერნისტი მწერლის, დისკურსი ინტერდისციპლინური კვლევის საგანია. მან უნდა გამოავლინოს ქართული ეროვნული ნიშნებიც და ინდივიდუალურიც, ყურადღებას იპყრობს მისეული დისკურსის დინამიკური ხასიათიც.

პოსტმოდერნისტული დისკურსი აკა მორჩილაძის ,,მადათოვის ციკლის“ მოთხრობების მიხედვით

პოსტმოდერნიზმის, როგორც უახლესი ლიტერატურული მიმდინარეობის, წარმოშობას უკავშირებენ სულიერ კრიზისს, რის შედეგადაც ინდივიდუალური სტილი იჩრდილება და წინა პლანზე გამოდის შეხედულებათა პლურალიზმი. განსხვავებულ მოსაზრებათა თანაარსებობა და თანამედროვე დემოკრატიული აზროვნების გადმოცემა მოითხოვს სტილებისა და ჟანრების განურჩევლობას. იქმნება „ორმაგი კოდირების“ თხზულებები, რომლებშიც შერწყმულია ნოვატორული და ტრადიციულიც. ისინი განკუთვნილია როგორც მასობრივი, ისე ელიტარული მკითხველისთვის.

ტერმინი „ქართული პოსტმოდერნიზმი“ ახალია, იგი „XX საუკუნის მიწურულს გაჩნდა, როგორც ესთეტიკური ფენომენი, გამაერთიანებელი სხვადასხვა მიმდინარეობისათვის დამახასიათებელი ნიშნებისა. არ არსებობს არავითარი ჩარჩოები, მწერალი სრულიად ახალ სივრცესა და სფეროში მოექცა, იგი თავისუფალია ქმედებებში, აღარ არსებობს ერთი „მე“ და ყურადღება მრავლობითობაზეა გამახვილებული“ (მირცხულავა, 2009:10).

XX ს-ის მეორე ნახევარში თანამედროვე კულტურულმა რეალობამ გარდატეხა, უფრო ზუსტად კი, ტრანსფორმაცია განიცადა. აღნიშნული ფაქტი გამოწვეული იყო ახალი ლიტერატურული მიმდინარეობით, პოსტმოდერნიზმით, რომელიც ამბივალენტურია მოდერნიზმის მიმართ. ის შესაძლოა მივიჩნიოთ არა მარტო მოდერნიზმის დაძლევის, არამედ მის გაგრძელების საშუალებადაც. როგორც მიუთითებენ, „პოსტმოდერნის ერთ-ერთი მაკოორდინირებელი ნიშანი

ინტერტექსტუალურობაა. პოსტმოდერნიზმი არის კლასიკური ტექსტის ხელახალი წაკითხვა დეკონსტრუქციის გზით“; „პოსტმოდერნი არის ლიტერატურა ლიტერატურის შესახებ“; პოსტმოდერნისტული ტექსტი არის ღია ტექსტი და მკითხველის ინტერპრეტაცია ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესოა, ის არ არის ერთჯერადი ინტერპრეტაციის საგანი“ (იმნაიშვილი, 2010:73).

ქართული პოსტმოდერნიზმის შესწავლა საინტერესოა იმდენად, რამდენადაც პოსტმოდერნისტული ესთეტიკა ქართულმა კულტურამ გვიან შეითვისა, მაგრამ მას კარგი ნიადაგი დახვდა, რადგან XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში კრიზისმა კულმინაციას მიაღწია. არსებობს თვალსაზრისი, რომ პოსტსაბჭოთა კავშირის ქვეყნების ლიტერატურათაგან ყველაზე ადრე ქართულ მწერლობაში XX საუკუნის 60-იანელთა შემოქმედებაში დაფიქსირდა. უმრავლესობის აზრით კი, პოსტმოდერნისტული ტენდენციები იკვეთება 90-იანი წლების ლიტერატურაში. ამ მხრივ მეტად საინტერესოა აკა მორჩილაძის შემოქმედება. მანამდე ქართული ლიტერატურული კრიტიკა სიახლისადმი ტრადიციულ სიფრთხილეს იჩენდა. „ორმაგი კოდირების“ საუკეთესო მაგალითია თავად მწერალი, რომელიც ერთდროულად არის ავტორიც და ისტორიკოსიც, მეორე მხრივ, აკა მორჩილაძე თავისივე „ბრჭყვიალა“ მხატვრული სამყაროს თანამონაწილე, თანაავტორი და მკითხველიცაა, როგორც ბატონი გიგა ზედანია აღნიშნავს: „აკა ალუზიების „მომხმარებელი“ მწერალია. ანდა, როგორც მასზე ითქვა: „აკა მორჩილაძე ფანტაზმების მწერალია“ (ზედანია, 2004:3-4). მისივე ირონია და საკუთარი ინტერპრეტაციები მკითხველის თვისება უფროა, ვიდრე - მწერლისა. ა. იმნაიშვილი წერს: „მწერლობა აზრიანი თამაშიაო, - უთქვამთ. სწორედ, ასეთი აზრიანი თამაში შესთავაზა თავის დროზე გიორგი ახვლედიანმა ქართველ მკითხველს; მთელი მისი შემოქმედება, ფსევდონიმით (აკა მორჩილაძე) დაწყებული, ერთი დიდი და სასიამოვნო „გამონაგონი“ აღმოჩნდა - ახალი ლიტერატურა XX საუკუნის 90-იანი წლებისთვის. აკა მორჩილაძის შემოქმედება წმინდა მხატვრული პროზაა, ტრადიციული ჟანრობრივი მრავალფეროვნებით - ნოველა, მოთხრობა, რომანი; დეტექტიური, სათავგადასავლო თუ უბრალოდ, „სანთლის შუქზე წასაკითხი“ ნაწარმოებები“ (იმნაიშვილი, 2010:78).

ჩვენი მიზანია, შევისწავლოთ ქართული პოსტმოდერნიზმის დისკურსის მთავარი მახასიათებლები აკა მორჩილაძის ,,მადათოვის ციკლის“ მოთხრობების მიხედვით, განვსაზღვროთ მისი დისკურსული თავისებურებანი. ციკლი მოიცავს შემდეგ მოთხრობებს: „გადაფრენა მადათოვზე და უკან“, „გაქრები მადათოვზე“, ვეშაპი მადათოვზე“. „წიგნს შესავლის მაგიერ ავტორის მიერვე წამძღვარებული საგანგებო განარტება დაერთვის (ამ „ხერხს “დღემდე წარმატებით იყენებს, ანუ საკუთარ ტექსტებს „განმარტებებსაც“ ურთავს ხოლმე), სადაც აკა მორჩილაძე 90-იანი წლების სოციალური ვითარების ჟამთააღმწერლადაც გვევლინება და ახალი ლიტერატურის მაუწყებლადაც - ანუ იმას გვთავაზობს, რასაც ქართულ კულტურულ სივრცეში ჯერ კიდევ არ ერქვა სახელი, პოსტმოდერნიზმი“ (იმნაიშვილი,2010:79).

ლ. ავალიანის თვალსაზრისით, მწერალი დასაწყისშივე იყენებს უძველეს ლიტერატურულ ხერხს: ,,სიუჟეტური შენიღბვა“, სათქმელის „გასხვისება“ (ავალიანი, 2002:22). რომანს „გადაფრენა მადათოვზე და უკან“ ერთვის კომენტარები, რომლებიც თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს ავტორის პაროდიას თუ პოსტმოდერნისტულ თვითირონიას. რომანში მწერალი ძველი, კარგად ნაცნობი თემებით პაროდირებს, რაც მკითველს არა მარტო იზიდავს, არამედ ართობს და ახალისებს კიდეც.

„მისი სოვდაგრობა ჰგავდა თოკზე მობმულ ბურთულის ტრიალს“ (მორჩილაძე, 2010:28);

„ოჰ, რა ზიზილ-პიპილა ვინმე გახლდათ ეს ბაიდაშევი. ერთი გენახათ ამის დაწყობილი, მოლაპლაპე ქოჩორი, ამის ულვაში. პოლკოვნიკმა გაიფიქრა კიდეც, ქალებს რომ ულვაში ჰქონდეთ, უეჭველია ასეთი ექნებოდათო“ (მორჩილაძე, 2010:52).

„ერთი დასხრიპულია და მეორე ჯოჯოხეთის მაშხალას გავს“ (მორჩილაძე, 2010:477).

მეტად საინტერესოა „მადათოვის“ ა. იმნაიშვილისეული შეფასება: „მადათოვი ბოლო წლების ქართული პროზის ერთ-ერთი ყველაზე უცნაური ნაწარმოებია, - არაორდინალური ფორმითაც და შინაარსითაც: ნოვატორულიც და ტრადიციულიც, კომიკურიც და ტრაგიკულიც, ღრმაც და ზედაპირულიც, პროტესტის გამომწვევიც და თანაგრძნობის აღმძვრელიც, ყავლგასულიც და სადღეისოც; ერთი სიტყვით, ეს გახლავთ მაღალი დონის ეკლექტიკა, ჰარმონიული „დომხალი“ (ავტორის

„კომენტარებიდან“), ერთგვარი გადაფრენა თუ გადარბენა ძველ თუ უახლეს ქართულ მწერლობაზე, თბილისის ძველ თუ უახლეს ისტორიაზე“ (იმნაიშვილი, 2010 :74).

აქ მწერლის სხვა ნაწარმოებთან შედარებით ვხვდებით პერსონაჟთა ტრადიციულ პორტრეტებს, რომლებიც დაწვრილებითაა აღწერილი: განიერი ბეჭებით და ვიწრო წელით, ოდნავ უკან გადარწეული, გაბზეკილი გავით, შეხსნილი ქალაქური ჩოხით, ალისფერი, გულგაღეღილი ხალათითა და პრიალა ჩექმებით, მუდამ გამომწვევად და აგრესიულად იქცევა... მაღლა ქალაქში“ ის სულ სხვაგვარია: თავმოდრეკილი და დაშაქრულად მოლაპარაკე, ევროპულად ჩაცმული, რუსული შლიაპით, თეთრი პერანგითა და პიჯაკით მოსილი“ (მორჩილაძე, 2010:14-16).

პოსტმოდერნისტულია XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის მხატვრული პროზის სტილის გვერდით სკაბრეზული ლექსიკისა და სოციოლექტის გამოყენებაც. „გადაფრენა მადათოვზე და უკან“ რომანის თავები განსხვავებული სოციოლექტითაა დაწერილი, შესაბამისად, დისკურსი მრავალფეროვანია. ეს მრავალფეროვნება მკითველს დილემის წინაშე აყენებს: „ამოიცან ეს ცხოვრება, არ გინდა?“ ტრილოგიაში ერთდროულად არის გასული საუკუნეების სტილი, მანერა და სასაუბრო ენაც.

ძველი სტილი: „გლოვობდნენ განსვენებულს ხაფოს“(მორჩილაძე, 2010:11);

სასაუბრო სტილი: „კუკიამდინ არმისული, დუქანი იყო სამსე“ (მორჩილაძე, 2010:11);

„ეკლესიის შესავალში ერთი კაცი წამოყუდებულა“ (მორჩილაძე, 2010:20);

„დიდად ჩიტირეკია ხალხია და საქვეყნო ცხოვრებაში ცხვირის ჩასაყოფად იკლავენ თავს“ (მორჩილაძე, 2010:23);

„აქ არის რაღაც უცნაურობა, კაცს რომ ტვინს გაუბურღავს“ (მორჩილაძე, 2010:26);

მწიგნობრული: „მე წამოვედი, ხიდი გადმოვიარე და სკოლაში წავედი“(მორჩილაძე,2010:48);

„ჩვენ წამოვედით და ის კი იქ დარჩა“(მორჩილაძე,2010:496);

„ისინი უფროსის გამოჩენისთანავე წამოიშლებოდნენ და სალამს ამბობდნენ“ (მორჩილაძე, 2010:50).

რომანის პოპულარულობა მწერლის ენობრივმა სტილმაც განაპირობა, სკაბრეზული ლექსიკის საშუალებით ქართული ლიტერატურისათვის მიუღებელ

საკითხებზე ყურადღების მიქცევა, მოგებიანი აღმოჩნდა მწერლისთვის. მაგალითისთვის ავიღოთ მღებავი ხაფოს ცხოვრების წესი, არატრადიციული ორიენტაცია. „ხაფოს ეს ბიჭი ცოლადა ჰყავსო, ამბობდნენ, მაგრამ თავად ბიჭისგან, აბა, რას შეიტყობდი? ყრუ-მუნჯი იყო“ (მორჩილაძე, 2010:15);

სკაბრეზული ლექსიკის ნიმუშებია: „ქუჩაზე მდინარე ხალხსა ზვერავდა და იმათ კურტუმოს ქნევას აკვირდებოდა (მორჩილაძე, 2010:14);

„აქ არ იყო ლაპარაკები, რო ხაფო კურტუმოს მოყვარული კაცია“ (მორჩილაძე, 2010:16);

„პუტანკა რატო იყავი და ოფიციანტკა რატო გახდი“ (მორჩილაძე, 1998:484).

მკვლევარი ლ. ავალიანი თვლის, რომ ნაწარმოები სტილის გამოა პოპულარული, ,,რომანის პოპულარულობა გამომდინარეობს მწერლის ენობრივი სტილიდან; „...სოდომ-გომორის ცოდვის ჩამდენ ადამიანთა სექსუალური რიტუალებისა და თბილისის აბანოების ორგიების ამსახველი ცალკეული სურათები მართლაც რომ შოკისმომგვრელი იქნებოდა „ტრადიციული“ ქართული საზოგადოებისთვის. მაგრამ ეს სითამამე და უხამსობა, იმ სიახლეებთან ერთად, რაც „მადათოვს“ ახასიათებს, ძალზე საინტერესო და მისაღები აღმოჩნდა ტრადიციული ცნობიერებისათვის. ვფიქრობთ, აქ უკანასკნელი როლი არც კარგი ლიტერატურის ქართულ ტრადიციას უთამაშია, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართული მოდერნიზმის პერიოდისთვისაც არ ყოფილა უცხო „მიუღებელი“ და არატრადიციული თემები თუ აღწერები (მაგ: „ელენე დარიანის დღიურები“, კ. გამსახურდიას, გრ. რობაქიძის და მ. ჯავახიშვილის ეროტიკული პასაჟები და ა.შ.)“ (ავალიანი, 2002:24).

ის თამაში, რომელიც მწერალმა მადათოვის სახით საზოგადოებას შესთავაზა, საჭიროებს მკითხველის მზაობას, ავტორის თქმით: „ეს ჩვეულებრივი თამაში იყო“ (მორჩილაძე, 2010:438), სინამდვილეში კი ეს თამაში „მეჯიქ პოლისია.“

აკა მორჩილაძის „მადათოვის“ ციკლის მოთხრობები ქართული პოსტმოდერნიზმის ტიპური ნიმუშებია; რომანის ცალკეული თავი განსხვავებული სოციოლექტითაა დაწერილი, შესაბამისად, დისკურსი მრავალფეროვანია. პოსტმოდერნისტი მწერლის დისკურსი ინტერდისციპლინური კვლევის საგანია. ტრილოგიაში ერთმანეთის გვერდიგვერდ გვხვდება მწიგნობრული და სასაუბრო

სტილი, არატრადიციული, მიუღებელი თემების გასაკრიტიკებლად მწერალმა სკაბრეზული ლექსიკა გამოიყენა. აკა მორჩილაძის დისკურსი დინამიკურია, მას აყალიბებს მწერალიცა და მკითხველიც. ავტორის ტრილოგია ერთგვარი ნაზავია მთელი მისი გამოვლილი სანახაობებისა, წიგნის ზოგიერთი ეპიზოდი ტოვებს შთაბეჭდილებას, მწერლის წაკითხული, გაგონილისა თუ ნანახის შესახებ. ეს ყოველივე ავტორმა ძალზე მოხდენილად „შეამკო“, „გადახარშა“, ერთი სიტყვით, ერთად აღებული უზარმაზარი მასა „გადაადუღა“ და შექმნა სრულიად ახალი რეალობა, რომლის კითხვის დროსაც აკა მორჩილაძე ერთგვარად დამთმობია მკითხველისადმი.

მიუხედავად დასასრულისა, ავტორმა „მადათოვის“ სახით მხოლოდ კუნძული კი არა, პერიოდი, ეპოქა შექმნა. ეს მითი ახლებური გადაკითხვა იყო ძველი თუ ახალი თბილისის ცხოვრებისა. კუნძულის გაქრობის სევდა მუდმივადაა ჩვენში, ეს ჩვენი თბილისის, ჩვენი საქართველოს დაუბრუნებელი წარსულის სევდაა.

არა მარტო მადათოვი, არამედ აკა მორჩილაძის მთელი შემოქმედება ახალი სიტყვაა ქართულ პროზასა და ქართულ ცნობიერებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

ავალიანი ლალი, „გამოთხოვება ძველ თბილისთან ძრწოლა ახალი თბილისის წინაშე,“ ჟურნალი „ლიტერატურული ძიებანი,“ №22, თბილისი. 2002;

ზედანია გიგა, „აკა მორჩილაძის ფანტაზმური პროზა“, გაზეთი „წიგნები“ №11, თბილისი. 2004;

იმნაიშვილი ანუკი, „XX საუკუნის 90-იანი წლების პოსტსაბჭოთა თაობის ქართული პროზის პოსტმოდერნისტული ტენდენციები,“ ჟურნალი „სემიოტიკა“. № 7, თბილისი. 2010;

მირცხულავა ლელა, „XX საუკუნის 80-იანი წლების წლების ქართული პოსტმოდერნისტული პროზის თავისებურებანი“, ჟურნალი „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“ №10, თბილისი. 2009;

მორჩილაძე აკა, „მადათოვი’’, გამომცემლობა „ბაკურ სულაკაური“, თბილისი. 2010.

Tatia Tsetskhladze

student of doctoral studies

Post-modernist discourse according to "Madatov's Circle" Stories by Aka Morchiladze

Abstract

The origination of post-modernism as the newest literary directions is connected to spiritual crisis as a result of which individual style is hidden and the pluralism of views comes at first place. The co-existence of various views and interpretation of modern democratic thinking requires equality of style and genres. The compositions of "Double Coding" are created in which there are merged innovatory and traditional elements. They are intended for mass and elite readers as well.

Studying Georgian post-modernism is especially interesting. Post-modernist aesthetics has been assimilated by Georgian culture later but good grounds has been prepared for it as for the beginning of 90-s of XX century crisis achieved its peak in Georgia. There is an idea that it was fixed first in Georgian literature from literature of post-soviet countries in 60-s works of XX century. As the most people think post-modernist tendencies are shown in 90-s literature. In this aspect works of Aka Morchiladze are interesting. Beforehand Georgian literary critics was traditionally careful towards novelties. The best example of "Double Coding" is the writer himself who at the same time is author and historian, lecturer and sports reporter – journalist. On the other hand the writer is the member, co-author and reader of his own "sparkling" art world. His irony and own interpretations is the character of reader rather than of a writer. The usage of scabrous lexis and sociolect avoiding art prose for the end of XIX century and beginning of XX century is post-modernism as well. The chapters of novel "Flying Over Madatov and Back" is written with various sociolect. Therefore, discourse is diverse. Here, you can meet all together the style, manner and speaking language of past centuries.

Discourse of Aka Morchiladze as post-modernist writer is subject of interdisciplinary research. His works must demonstrate Georgian national signs and individual ones as well. The dynamic character of his peculiar discourse attracts attention as well.